მაისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #26

„ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა წარადგინა და მიიღო კანონპროექტი უცხოური გავლენების შესახებ: რატომ ახლა?

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ 3 აპრილს უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის ხელახალა ინიცირება, ერთი წლით ადრე მასობრივი საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ფონზე მისი უკან გაწვევის მიუხედავად, მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო განხილვის საკითხად იქცა. კანონპროექტის ინიცირების კონტექსტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, რომელიც საქართველოსთვის განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების პირობასაც მოიცავს და კანონპროექტის გარშემო მიმდინარე დებატების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კანონპროექტმა უპრეცენდენტო საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, რომელიც გასცდა დედაქალაქს და მთელს ქვეყანაში გავრცელდა. თუმცა, მიმდინარე საპროტესტო აქციებისა და საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი 14 მაისს, მესამე მოსმენით მაინც მიიღო და 28 მაისს პრეზიდენტის ვეტოც დაძლია.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის(GIP) თხოვნით, სხვადასხვა ქვეყნიდან შერჩეულმა ექსპერტებმა შემდეგ კითხვებს უპასუხეს:

1. *რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებაზე, ხელახლა წარედგინა აღნიშნული კანონპროექტი, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით?*
2. *რა გავლენას მოახდენს მიღებული კანონი საქართველოს საარჩევნო ლანდშაფტზე და, ზოგადად, ქვეყანაზე?*

ჯული ა. ჯორჯი,

პოლიტიკის ასოცირებული პროფესორი, ქუინსის კოლეჯი

კანონპროექტის ხელახალი ინიცირება როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ფაქტორებთან არის დაკავშირებული. გრძელვადიანი ფაქტორი, ჩემი აზრით, დაკავშირებულია ევროკავშირის მოთხოვნებთან ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმისა და „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ. ევროკავშირის მხრიდან დათქმების სიაში აღნიშნული პირობების შეტანა, მმართველ პარტიაში ბიძინა ივანიშვილის როლის გათვალისწინებით (და მისი, როგორც ოლიგარქის სტატუსით), იმისი მანიშნებელი იყო, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს ევროკავშირში გაწევრებას ვერ შეძლებდა. რაც შეეხება მოკლევადიან ფაქტორებს, ბიძინა ივანიშვილის საჯარო გამოსვლა და გლობალური ომის პარტიისა და მის წინააღმდეგ შექმნილი კონსპირაციული თეორიების შესახებ განცხადებები მიანიშნებს, რომ „კრედიტ სუისთან“ (Credit Suisse) მისი დავა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, რომლებიც მის საკუთრებაში არსებული ქონების ხელმისაწვდომობაზეც ახდენენ გავლენას, არის ის, რამაც [კანონპროექტის ხელახალი ინიცირების] დროულობა განაპირობა. გასული კვირების განმავლობაში, ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებისა და ძალადობის გათვალისწინებით, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ,,ქართული ოცნება“ ვერ დაუშვებს არჩევნებში წაგებას და საკუთარი ავტორიტეტის შესანაჩუნებლად მზად არის, ოპოზიციის შესაკავებლად ძალადობრივ ქმედებებსაც მიმართოს.

ნებისმიერ სახელმწიფოში, დემოკრატიული მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაა, რათა საზოგადოებამ საარჩევნო კანდიდატების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება შეძლოს. ეს კანონი, როგორც ჩანს, შემუშავებულია ნებისმიერი არასახელმწიფო ან არა ოლიგარქის საკუთრებაში არსებული მედია ორგანიზაციის ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წინააღმდეგ (რადგან, რეალურად, მათი უმეტესობა უცხოური წყაროებით ფინანსდება). კანონი შეფარულად (და არასწორად) ვარაუდობს, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც გარე სუბიექტის მიერ ფინანსდება, შედის მხოლოდ ამ სუბიექტის და არა ქართველი ხალხის ინტერესებში. [კანონპროექტის ინიციატორებისგან] არც იმის მცდელობა ჩანს, რომ ფინანსურ მხარდაჭერასა და სარედაქციო თუ პროგრამულ კონტროლს შორის განსხვავების საპოვნელად რაიმე გზა გამოინახოს. ინდივიდუალურ დონეზე, ეს ძალიან ცუდია. თუმცა, საზოგადოებრივ დონეზე, კანონპროექტი საფრთხეს უქმნის დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, რადგან მისი გადარჩენის აუცილებელი კომპონენტები კრიტიკა და სიტყვის თავისუფლებაა. მზარდი და განვითარებადი მედია გარემო კი

აუცილებელია თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩასატარებლად. ავტორიტარული რეჟიმების შესწავლისას, ავტორიტარიზმის კონსოლიდირების გზაზე, ჩვენ ვხვდებით მედიისა და სამოქალაქო სექტორის ჩამოშლის მცდელობებს. მათ, ვინც აღნიშნულ ცვლილებებს ახორციელებენ, შეიძლება ყოველივე ეს მოკლევადიან, და არა გრძელვადიან, ცვლილებებად ესახებოდეთ, მაგრამ მათ კარგად უნდა გაიაზრონ ის სისტემური ეფექტი და რეპრესიები მოწინააღმდეგე მოსაზრების მქონე ადამიანების მიმართ, რომელსაც ეს კანონს გამოიწვევს.

სტივენ ბლოკმანსი,

CEPS-ისა და ICDS-ის უფროსი თანამშრომელი, ასევე REUNIR Horizon Europe პროექტის კოორდინატორი

ხელისუფლებაში ზედიზედ მეოთხე ვადის გარანტირებული პერსპექტივის დაკარგვის შიშმა „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერი ტიპის ოპოზიციის დასუსტებისკენ უბიძგა. უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის ხელახალი ინიცირება პარლამენტში 2022 წლის თებერვლის შემდგომ განვითარებული ნარატივის გაგრძელებაა „გლობალური ომის პარტიასთან“ ბრძოლის შესახებ - დასავლეთის ალიანსის მაკბეტური აჩრდილი, რომელიც საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას აპირებდა. ამის საპასუხოდ, კანონპროექტის პარლამენტში დაბრუნება ქვეყნის შიგნით დასავლეთის სავარაუდო ადგილობრივი მოკავშირეების - ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების “მოთოკვისკენ” არის მიმართული. პარალელურად, მიღებულ იქნა ე.წ. „ოფშორების კანონი” მილიარდერი ოლიგარქის სიმდიდრის დასაცავად, ისევე, როგორც სხვა რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საქართველოს კიდევ უფრო მეტად აშორებს ევროკავშირში გაწევრებისგან, რაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კვლავ რჩება მმართველი პარტიის დეკლარირებულ საბოლოო მიზნად.

უპრეცედენტო მასშტაბის საზოგადოებრივი პროტესტის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობის არც ერთ წევრს არ მიუცია ხმა უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ. ყოველუვე ეს კარგად დაგეგმილ და კონტროლირებულ ქმედებაზე მიუთითებს, რომელიც საქართველოს პროდასავლური კურსისგან ჩამოშორებისკენ არის მიმართული და ჯერჯერობით ეფექტურად მუშაობს: აშშ-მ უკვე მიიღო სანქციების დაწესების გადაწყვეტილება და ევროკავშირიც იმავე ზომებს განიხილავს. ამის პარალელურად, ასევე ჩანს კრემლის გაზრდილი ინტერესი საქართველოს “ევროპული კრიზისის” მიმართ.

თვითგადარჩენის ვიწრო ხედვაზე დაყრდნობით, “ქართულმა ოცნებამ”

წამოიწყო პროცესები, რომლის კონტროლიც, საბოლოო ჯამში, არ შეუძლია. მმართველ პარტიას ან მოუწევს ძალაუფლების დათმობა თვეების საზოგადოებრივი პროტესტის შედეგად, ან მას მოუწევს რუსეთის მხრიდან უფრო მეტი კონტროლის მიღება, რამაც შესაძლოა ის "შთანთქოს". მესამე გზა, რომელიც პრეზიდენტის მიერ ინიცირებული "ქარტიის" სახით არის გამოხატული, ყველა პოლიტიკური პარტიის მხრიდან შეთანხმებას და მტრული საგარეო ძალების პროცესში ჩარევისგან უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს ვიწრო გზა დაბრკოლებებით არის სავსე.

ოქტომბრის არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე თვე ნამდვილად დაძაბული იქნება. თუმცა, შეცდომაა იმაზე ფიქრი, რომ პრევენციული რეპრესიები და არჩევნების გაყალბება სუფთა და მკაფიო შედეგს მოიტანს. უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის გარშემო მიმდინარე მოვლენები ეგზისტენციალურ ბრძოლად იქცა, რომელმაც ქვეყნის მომავალი მიმართულება უნდა გადაწყვიტოს, რაც, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება და, სამწუხაროდ, დიდი ალბათობით, სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება მანამდე, სანამ ის უკეთესობისკენ შეიცვლება.

პროფ. ლინკოლნ მიტჩელი,

საერთაშორისო და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა, კოლუმბიის უნივერსიტეტი

რთულია დანამდვილებით იმის თქმა, თუ რატომ მიიღო „ქართულმა ოცნებამ" უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის ხელახალი ინიცირების გადაწყვეტილება, მაგრამ ცხადია, რომ კანონში არსებული აშკარა პრობლემების გარდა, მისი ხელახალი ინიცირება პოლიტიკურად არამიზანშეწონილი და დამაბნეველი გადაწყვეტილება იყო. ეს მაფიქრებინებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილის ახირება იყო, რომელიც, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ძირითადად მოტივირებული იყო მისი პირადი დამოკიდებულებით, ამ შემთხვევაში საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ეჭვი მაქვს, ივანიშვილის გარემოცვა ყოყმანობდა, ეთქვათ თუ არა მისთვის, თუ როგორი ცუდი იდეა იყო კანონპროექტის ხელახალი ინიცირება, რადგან მათი პოლიტიკური და ფინანსური მომავალი მასზეა დამოკიდებული.

კანონის ხელახალი შემოღება და ბოლო კვირების განმავლობაში მიმდინარე მოვლენები საქართველოში პოლიტიკურ კრიზისს ამძაფრებს. „ქართულ ოცნებას", სავარაუდოდ, ჯერ კიდევ აქვს მოსახლეობის დაახლოებით 25-35%-ის მხარდაჭერა, რაც

მეტწილად ხანდაზმულ, ნაკლებად განათლებულ და რურალურ დასახლებებში მცხოვრებ ამომრჩეველს მოიცავს, მაგრამ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ მხარს არ უჭერს. მმართველი პარტია, სავარაუდოდ, ახლა უფრო მეტად ჩაერევა არჩევნების გაყალბებაში ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად. თუმცა, მრავალპარტიულ საარჩევნო გარემოში, ხმების 35-40%-მაც კი შეიძლება უზრუნველყოს საპარლამენტო უმრავლესობის, ან მნიშვნელოვანი უმრავლესობის, მოპოვება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან დაკავშირებული პარტიები ოპოზიციის სათავეში აღარ არიან, რაც არასახარბიელოა „ქართული ოცნებისთვის“, რომელიც საკუთარი საარჩევნო მხარდაჭერის გაძლიერებას სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერების შიშზე დაყრდნობით ცდილობდა ხოლმე.

დოქტ. ბაკურ კვაშილავა,

სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

წინასწარ საარჩევნო რეიტინგებში „ქართული ოცნების“ მნიშვნელოვანი უპირატესობა თავარი ფაქტორია, რამაც მმართველი პარტიის მხრიდან უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტის ხელახალი შემოღების გადაწყვეტილება განაპირობა. ,,ქართული ოცნება“ თავდაჯერებული იყო და როგორც მისმა ლიდერმა 29 აპრილს მთავრობის მიერ ორგანიზებულ სახალხო შეკრებაზე ნათლად განაცხადა - მას სჯეროდა, რომ პროტესტი ოქტომბრის არჩევნებამდე გამოიფიტებოდა. გარდა ამისა, ღარიბაშვილის თანამდებობიდან გადაყენებამ, რომელმაც 2023 წელს კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა, გააჩინა იმის განცდა, რომ ამჯერად კანონის მიღების პროცესი ზედმეტი ნეგატიური ეფექტის გარეშე ჩაივლიდა. გარდა ამისა, აშშ-სა და ევროპაში მოახლოებული არჩევნები დასავლეთის ყურადღებას ნაკლებად მიიპყრობდა. ამასთან, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ‘’ქართული ოცნების“ ავტორიტარული ბუნების გათვალისწინებით, გამოკითხვის მონაწილეებმა ინიციატივის შესახებ ცრუ პოზიტიური მოლოდინები დააფიქსირეს იმისთვის, რომ ხელმძღვანელობის მოწონება დაემსახურებინათ.

სავარაუდოა, რომ კანონის უარყოფითი გავლენა დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებზე უფრო მეტად საშუალოვადიან პერსპექტივაში გამოჩნდება, ვიდრე მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, კონკურენტული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით პოტენციური პრობლემები მაინც არსებობს, ყოველ შემთხვევაში, 2020 წლის წინა არჩევნებთან შედარებით. ეს, მაგალითისთვის, ეხება ადგილობრივი და/ან საერთაშორისო დამკვირვებლების

განთავსების შეფერხებას. პოლიტიკურად, „ქართული ოცნების“ რეიტინგში არსებული უპირატესობა მეტწილად გამქრალია და, როგორც ჩანს, სწორი პოზიციონირების შემთვევაში, ოპოზიციას შესაძლოა ჰქონდეს შანსი მოქმედ ხელისუფლებას ქვეყნის მართვის სადავეები ჩამოართვას.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ექსპერტ კომენტარში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„„ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა წარადგინა და მიიღო კანონპროექტი უცხოური გავლენების შესახებ: რატომ ახლა?“ ექსპერტთა კომენტარი #26, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2024.

© Georgian Institute of Politics, 2024

Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge